

ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის მიერ 2015 წლის განმავლობაში
გაწეული საქმიანობის ანგარიში

„მოხალისეობის განვითარების პროგრამა“

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო 2015 წლის მაისიდან ახორციელებს მოხალისეობის განვითარების პროგრამას „საქართველოს მოხალისე“. პროგრამის მიზანია მოხალისეობის ინსტიტუტის გაძლიერება, მოხალისეთა ერთიანი ქსელის განვითარება საქართველოს მასშტაბით, ახალგაზრდობში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება მოხალისეობის გზით, მოხალისეობით დაინტერესებული ახალგაზრდების რაოდენობის გაზრდა ქვეყნის მასშტაბით, საზოგადოების საკეთილდღეოდ, საკუთარი ნების საფუძველზე უანგარო შრომის იდეის პოპულარიზაცია, მოხალისეთა მიერ გაწეული შრომის წახალისება და პოპულარიზაცია.

პროგრამის ფარგლებში საწყის ეტაპზე კონკურსის საფუძველზე შეირჩა, 10 რეგიონალური არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ადგილობრივ დონეზე ახორციელებენ პროგრამის კოორდინირებას.

შერჩეული არასამთავრობო ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობით, ასევე კონკურსის საფუძველზე საქართველოს 67 მუნიციპალიტეტში შეირჩა 134 მოტივირებული მოხალისე (2 მოხალისე თითო მუნიციპალიტეტიდან).

134 მოხალისისა და 10 რეგიონული ორგანიზაციის წარმომადგენლებისათვის 6 -დან 10 მაისის ჩათვლით ბაკურიანში გაიმართა 5 დღიანი მოსამზადებელი ტრენინგ - სემინარი (საქართველოს მოხალისეთა ფორუმი) თემებზე: მოხალისეობა და მოხალისეების რეკრუტირება, კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევები, საჯარო ინსტიტუტებთან ურთიერთობის ფორმები, პროექტების წერა და ფონდების მოზიდვა და მოხალისეობის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილე ახალგაზრდებმა ერთი წლის ვადით მიიღეს „საქართველოს მოხალისის“ სტატუსი და დაენიშნათ სტიპენდია (საკომუნიკაციო ხარჯი) 45 ლარის ოდენობით.

„საქართველოს მოხალისეები“ საკუთარ მუნიციპალიტეტებში - მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე ახორციელებენ ისეთ ინიციატივებს როგორცაა: მოხალისეთა კლუბების შექმნა, გარემოსდაცვითი ღონისძიებები, საქველმოქმედო საქმიანობა - სხვადასხვა საჭიროების მქონე ადამიანების დახმარება, ფილმების ჩვენება, უცხო ენის კურსების გამართვა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია (სპორტული შეჯიბრებები, მარათონები), შშმ ბავშვების ინტეგრაცია,

ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა, შემოქმედებითი საღამოების გამართვა, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრები და სხვა.

პროგრამის პარტნიორია ამერიკული მოხალისეთა ორგანიზაცია „მშვიდობის კორპუსი“ , რომელთანაც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი.

პროგრამის ფარგლებში შექმნილია ვებგვერდი www.mokhalise.ge და ასევე ფუნქციონირებს „საქართველოს მოხალისის“ ოფიციალური **facebook** გვერდი - “საქართველოს მოხალისე”, სადაც ასახულია ყველა ის აქტივობა, რომელსაც მოხალისეები ახორციელებენ.

8 დეკემბერს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში პროგრამის ფარგლებში გაიმართა შემაჯამებელი ღონისძიება, სადაც გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ წლის გამორჩეული მოხალისეები (თითო მოხალისე თითო რეგიონიდან, სულ 10 მოხალისე).

პროგრამის განხორციელების შედეგად მოხალისეობის გარშემო გაერთიანდა რამდენიმე მხარე (ადგილობრივი არასამთავრობო და სამთავრობო სექტორი, ახალგაზრდობა), საქართველოს რეგიონებში შეიქმნა მოხალისეთა ერთიანი ქსელი, ადგილობრივ თვითმმართველობასა და სამოქალაქო სექტორს შორის გაძლიერდა თანამშრომლობა, გიზარდა საზოგადოებრივ საწყისებზე შრომაში ჩაბმული ახალგაზრდების რაოდენობა.

„საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა“

ექსკურსიები თბილისში

1. ფარგლებში მიმდინარე წლის 20-22 მარტს მიუდოს გრანპრს დაესწრო სამცხე-ჯავახეთის კერძოდ ახალქალაქის ქართული N3 საჯარო სკოლის მოსწავლეები და პანკისსა და ალვანში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები (სულ 150).

აუდიო სპექტაკლი „გამზრდელი“

2. განხორციელდა აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ აუდიო სპექტაკლის სახით ჩაწერა და გამოცემა DVD დისკებზე ქართულ და აფხაზურ ენებზე.

ტრენინგ სემინარი „აქტიური ახალგაზრდობა და თავისუფალი სივრცე“

3. მაისი-ივნისის თვეში ლაგოდებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდებისათვის განხორციელდა 2 თვიანი სატრენინგო სწავლება „აქტიური ახალგაზრდობა და თავისუფალი სივრცე“. პროექტის ფარგლებში მოხდა სხვადასხვა ახალგაზრდული პროგრამებისა და პროექტების შეთავაზება. გაეცნენ სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტს და ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ ახალგაზრდულ პროგრამებს. პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაცია, აქტიურ სამოქალაქო აქტივობაში ჩართვა, არაფორმალური განათლების გზით ცოდნისა და გამოცდილების შექმნა.

ტრენინგი „სამოქალაქო აქტივობა მრავალფეროვანი საქართველო“

პროექტის ფარგლებში 12 აგვისტოს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კახეთის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდებისათვის მოეწყო ტრენინგები. ხუთდღიანი პროექტი მოიცავდა ტრენინგებს გუნდური მუშაობის, ინტეგრაციის, ტოლერანტობის, პროექტის წერის, კლუბების შექმნის, მოხალისეობრივი საქმიანობის, კულტურული მრავალფეროვნებისა და თანაცხოვრების შესახებ, მონაწილეთა ინტეგრაციის მიზნით კულტურულ ღონისძიებებს. პროექტში ჩართული იყო 30 ახალგაზრდა.

კულტურულ-შემოქმედებითი და შემეცნებითი ტრენინგ/სემინარები „უკეთ გავიცნოდ ერთმანეთი“

4. მაისიდან მიმდინარეობს კულტურულ შემოქმედებითი და შემეცნებითი ტრენინგ/სემინარები " უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი". მისი მიზანია დედაქალაქის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ქართველი და ეთნიკური უმცირესობების მოზარდების ინტეგრაციის ხელშეწყობა ერთმანეთის შესახებ ცოდნის გაფართოების გზით.

პროექტის მიზნის მისაღწევად, სამცხე-ჯავახეთში მიმდინარეობს მთელი რიგი აქტივობები. საინტერესო პრეზენტაციები და სემინარები, სპორტული და შემოქმედებითი ღონისძიებები შესაძლებლობას მისცემს დედაქალაქისა და ეთნიკურად მრავალფეროვანი სამცხე-ჯავახეთის მოზარდებსა თუ ახალგაზრდებს, არა მარტო ახალი ცოდნა შეიძინონ ერთმანეთის შესახებ, არამედ ერთობლივად მიიღონ მონაწილეობა ზოგიერთი მათგანის ორგანიზებასა და ჩატარებაშიც. პროექტი დასრულდება ნოემბრის თვეში.

„ქართული ენის ელექტრონული/დისტანციური სწავლება ეთნიკურად სომეხი ახალგაზრდებისათვის“

5. მაისის თვიდან მიმდინარეობს ელექტრონული სწავლება შეიქმნა სპეციალური სასწავლო მოდული საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის შესწავლის პროცესის გამარტივების მიზნით. ქართული ენის ონლაინ პროგრამა აიტვირთება საიტზე www.teach.ge და ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი სომხურენოვანი მომხმარებლისათვის უფასოდ. საიტის ლინკი განთავსდება აგრეთვე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე www.msy.gov.ge

ლექცია/დებატები „ახალგაზრდა ლიდერთა კლუბი“

6. მაისიდან მიმდინარეობს პროექტ ახალგაზრდა ლიდერთა კლუბის განხორციელება, რომლის ფარგლებში უმაღლესი სასწავლებლის ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტებისათვის მოეწყო პროექტის პრეზენტაცია, გასაუბრების შედეგად შეირჩა 40 ახალგაზრდა. „ახალგაზრდა ლიდერთა კლუბი“ 3 თვიანი პროექტია 1+4 პროგრამით ჩარიცხული ახალგაზრდებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლების ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ სტუდენტების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, მათი აქტიური და ეფექტური ჩართულობის ხელშეწყობას, სამოქალაქო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თავიანთ ქართველ თანატოლებთან კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბებას, ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ ახალგაზრდებში სახელმწიფოებრივი აზროვნების და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას. პროექტი მოიცავს შეხვედრებს სხვადასხვა უწყების წარმომადგენელ ხელმძღვანელ პირებთან, თემატურ ლექცია/სემინარებს და დებატების უნარების განვითარებას ახალგაზრდებში.

თეორიული და პრაქტიკული ტრენინგ-კურსი „რადიო ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციაში“

7. მაისის თვიდან თბილისში რადიო AGFM-ში, რომელიც არის ქართული რადიო აზერბაიჯანულ ენაზე მიმდინარეობს 4 თვიანი პროექტი რადიო ჟურნალისტიკა და მასობრივ კომუნიკაციაში. სასწავლო ტრენინგ-კურსი ითვალისწინებს რადიო ჟურნალისტიკის პროფესიით დაინტერესებული ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისათვის თეორიულ და პრაქტიკული განათლების დაუფლებას და მიზნად ისახავს ისეთი კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია საინფორმაციო ხასიათის აუდიო-რადიო პროდუქციის მომზადებისათვის. კურსის განმავლობაში მონაწილეები დაეუფლებიან აუდიო თხრობის ტექნიკას, ისწავლიან ინტერვიუს წარმართვის ტექნიკას, აუდიო ინტერვიუს ჩაწერას, ტექსტის წერას რადიო სიუჟეტისათვის, აუდიოს მონტაჟს და სიუჟეტის აწყობას. თეორიული სწავლების შემდგომ ქართული რადიო აზერბაიჯანულ ენაზე რადიო AGFM, საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს პრაქტიკა მიიღონ ადგილზე. პროექტში ჩართულია 5 აზერბაიჯანელი ახალგაზრდა. სწავლების პერიოდში გამოცდილების გაზიარების მიზნით, დაგეგმილია შეხვედრების და მასტერ კლასების მოწყობა ცნობილ ჟურნალისტებთან.

არქეოლოგიური ექსპედიცია

8. 10 ივლისს დაიწყო არქეოლოგიური ექსპედიციის განხორციელება ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მცხეთის რაიონში, სოფელ ქსანთან ეროვნული მუზეუმის ნასტაკისის ფონდსაცავის ბაზაზე არქეოლოგიური გათხრების წარმოება (ფოტოფიქსაცია, არქიტექტურული ანაზომები, საველიე ჩანახატები). გათხრების დასრულების შემდგომ ჩატარდება მოპოვებული მასალის კამერალური დამუშავება, მომზადდება სამეცნიერო ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდება ეროვნული მუზეუმის ყოველწლიურ სამეცნიერო ჟურნალში, ასევე არქეოლოგიური მასალა დაცული იქნება ეროვნული მუზეუმის საცავებში. ექსპედიცია დაიყოფა 3 ნაკადად, თითოეული ჯგუფი დაკომპლექტდება 15 ახალგაზრდით. ნაკადის ხანგრძლივობა განსაზღვრულია 10 დღე. საერთო ჯამში პროექტში მონაწილეობას მიიღებს 45 ახალგაზრდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებიდან. პირველ ნაკადში ჩართულია აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი და ოსი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები კახეთის რეგიონიდან. პროექტი მოიცავს ერთ თვეს და გაგრძელდება 10 აგვისტომდე.

ლიტერატურული კონკურსი „საქართველო ჩემი სამშობლო“

9. ლიტერატურული კონკურსის მიზანია 14-დან 25 წლამდე ასაკის შემოქმედებითი უნარით გამორჩეული ახალგაზრდების გამოვლენა პოეზიაში და ლიტერატურული კრებულის გამოცემა. კონკურსში მონაწილეობას იღებენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონსა და რაიონში მცხოვრები ეთნიკური წარმომავლობის ახალგაზრდები. ამჟამად წარმოდგენილია დაახლოებით 90-მდე ნამუშევარი და მიმდინარეობს მათი დამუშავება და თარგმნა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

ტრენინგი თემაზე: „გახდი ახალგაზრდა მეწარმე“

10. ტრენინგი განკუთვნილი იყო სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონის 15 - დან 29 წლამდე ასაკის როგორც ქართველი, ისე ეთნიკური უმცირესობის მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის.

ტრენინგის მიზანი: ახალგაზრდების დაინტერესება, თანაჩართულობა, ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლება სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ახალგაზრდების დაინტერესება ფერმერული საქმიანობით.

სასწავლო პროცესი წარიმართება შემდეგი პრინციპით:

1 დღე- თეორიული მეცადინეობები;

2 დღე- პრაქტიკული ღონისძიებები და ბიზნეს იდეების პრეზენტაცია;

3 დღე- პრაქტიკული გასვლები.

სამცხე-ჯავახეთი- 4-6 დეკემბერი;

ქვემო-ქართლი- 11-13 დეკემბერი;

კახეთი- 18-20 დეკემბერი

თეორიული კურსი მოიცავდა ლექციებს შემდეგ თემებზე:

„კოოპერატივები“

„ვეტერინარია“

„აგროტურიზმი“

„ენერჯის ალტერნატიული ორგი დარციმელია“

„არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“

„ბიზნესი მოქმედებაში“.

„არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა“

არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულები საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც ყველაზე მეტად განიცდის საზოგადოებასთან ურთიერთობების დეფიციტს. მსჯავრდებულებისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა ყოველდღიური ფსიქოლოგიური სტრესები, მათ ახასიათებთ დაბალი თვითშეფასება, ნევროტულობა ქცევებში, პესიმისტური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, მიდრეკილება ასოციალური ქცევებისაკენ. აუცილებლობას წარმოადგენს მსჯავრდებულების რესოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა სხვადასხვა მიმართულებით ღონისძიებების/აქტივობების განხორციელებით, რის საფუძველსაც იძლევა გასული ორი წლის განმავლობაში ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ წარმატებით განხორციელებული პროგრამა, რომელიც 2015 წელსაც

გაგრძელდა მსჯავრებულების საჭიროებებიდან გამომდინარე, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან შეთანხმებით.

„არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში განხორცილდა. პროგრამის მიზანს წარმოადგენდა არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სხვადასხვა სპორტული და სახელობო სწავლების, სხვადასხვა მოდულის ტრენინგ-სემინარების, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზებით. გათვალისწინებული სწავლებებისა და ტრენინგებისათვის მსჯავრდებულთა საჭიროებების მიხედვით განისაზღვრა და დაკომპლექტდა შესაბამისი ჯგუფები.

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სხვადასხვა ტრენინგებისა და სწავლების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი პირების შერჩევის მიზნით „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ 2015 წლის 5 მარტის საქართველოს მთავრობის განკარგულება N363-ის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შეიქმნა შესაბამისი კომისია. კომისიის მიერ შემუშავდა საკონკურსო განაცხადების ფორმები. საწვრთნელ-სატრენინგო მომსახურებების უზრუნველსაყოფად, კონკურსის საფუძველზე შეირჩნენ შესაბამისი პირები.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მსჯავრდებულებთან წლის განმავლობაში მიმდინარეობდა რაგბისა და ფეხბურთის სწავლება, კვირაში ორჯერ. სწავლებისათვის საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა უზრუნველყოფილი იყო სამინისტროს მიერ პროგრამის ფარგლებში. ასევე, მსჯავრდებულებთან მიმდინარეობდა **ხეზე კვების, ხის დიზაინის, მხატვრული დამუშავების სწავლება** (კვირაში სამჯერ), რომელიც დასრულდა ნოემბრის თვეში. ივლისის თვიდან დეკემბრამდე მიმდინარეობდა მინაქარის შემსწავლელი კურსი (კვირაში 2 ჯერ).

გარდა სპორტული და სახელობო სწავლებისა არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან ჩატარდა ტრენინგი „**ცხოვრებისეული ფასეულობები ახალგაზრდებისათვის**“, რომელიც მიზნად ისახავდა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მორალური ღირებულებების წახალისებას, რათა მათ გაეაზრებინათ ღირებულებებსა და მორალურ ფასეულობების მნიშვნელობა ურთიერთობაში და გაეკეთებინათ პოზიტიური პიროვნული და სოციალური არჩევანი. ასევე, ჩატარდა ტრენინგი თემაზე „**პიროვნული და სოციალური უნარების განვითარება**“, რომელსაც უზრუნველყოფდნენ სამინისტროს მიერ კონკურსის წესით შერჩეული ტრენერები. ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა სასჯალაღსრულებით დაწესებულებაში მყოფი მოზარდების პიროვნული და სოციალური, ჯგუფში მუშაობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება.

პროგრამის ფარგლებში 3-ჯერ ჩატარდა ინტელექტუალური თამაშები „რა, სად, როდის?“, რომელსაც უძღვებოდნენ კლუბ „რა, სად, როდის?“ ცნობილი მოთამაშეები.

ნოემბრის თვეში N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებას მოზარდებისათვის გადაეცა 12 000 -მდე ლარის ღირებულების სპორტული ინვენტარი, ტრენაჟორები, რაგბისა და ფეხბურთის ფორმები, წიგნები. გადაცემის დროს მსჯავრდებულებს სტურომრობდნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრები ტარიელ ხეჩიკაშვილი და კახა კახიშვილი. ტრენაჟორების გადაცემის შემდგომ, მოზარდებთან დაიწყო **ფიტნესში** საწვრთნელ-სატრენინგო გაკვეთილების ორგანიზება, რომელიც კვირაში სამჯერ მიმდინარეობს.

მ. წ. 5 ნომბერს მოეწყო ფეხბურთში **ამხანაგური თამაში** მინისტრების, მოადგილეების გუნდსა და არასრულწლოვან მსჯავრდებულებს შორის.

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების, წვრთნების, სწავლების, ტრენინგების უზრუნველყოფა მსჯავრდებულებისათვის წარმოადგენს კრიმინალური ცხოვრების ალტერნატივის შეთავაზება სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროცესში. პროგრამის განხორციელებით ხელი შეეწყო ახალგაზრდა პატიმრების რესოციალიზაციის პროცესს. მათმა დიდმა ნაწილმა დროზე ადრე დატოვა სასჯელაღსრულების დაწესებულება, რომელშიც სამინისტროს პროგრამას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. მოზარდები გახდნენ მეტად თავდაჯერებულნი საკუთარ შესაძლებლობებში, მნიშვნელოვნად გააცნობიერეს და დაძლიეს უარყოფითი ჩვევები, შეისწავლეს, აითვისეს სხვადასხვა პროფესიული უნარ-ჩვევები, დაეუფლნენ სპორტულ სახეობებს, მიიღეს ცოდნა და გამოცდილება, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ ჯანსაღი ცხოვრებისეული მიზნების ჩამოყალიბებაში.

„მოსწავლე-ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამა“

თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს ადამიანისეული რესურსების ეფექტიანად გამოყენება, დასაქმების ხელშეწყობა, შრომის ცვალებად ბაზართან ადაპტირება წარმოადგენს. შრომის ბაზრის მობილურობის ზრდა, შესაძლებლობების განვითარებისა და გამოყენების აუცილებლობა, გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს როგორც პროფესიული მომზადების, ისე პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სისტემას. მოზარდებსა თუ ზრდასრულებს უჭირთ პროფესიის არჩევასთან, კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებული რთული საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტა, თანამედროვე, სწრაფად ცვალებად გარემოსთან ადაპტირება. ისინი ხშირად იღებენ გაუზრებელ პროფესიულ გადაწყვეტილებას, რაც საბოლოოდ არაკვალიფიციური, შესაბამისი ცოდნის, უნარების, პიროვნული მახასიათებლებისა და კომპეტენციების არმქონე კადრების სიჭრბეს განაპირობებს, რაც თავის მხრივ აისახება ახალგაზრდების დასაქმებასა და უმუშევრობაზე.

ბოლო წლების განმავლობაში, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სისტემის განვითარებას. ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული მიმართულებით, მიუხედავად წინგაგადგმული ნაბიჯებისა, არასრულყოფილია საკონსულტაციო სერვისები, კვლავ მწირია საკონსულტაციო ინსტრუმენტები. პრობლემას წარმოადგენს პროფორიენტაციის მნიშვნელობისა და საჭიროების შესახებ მოსწავლე-ახალგაზრდების გაუთვითცნობიერებულობა. ასევე, გარკვეული ღონისძიებებია გასატარებელი მშობელთა ინფორმირების კუთხით.

აღნიშნული პრობლემის მოგვარების ხელშეწყობის მიზნით, 2013 წლიდან ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ ხორცილდება პროფორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა პროფორიენტაციის ვებ-გვერდი www.myprofession.gov.ge და სახელმძღვანელო მოზარდებისათვის „აირჩიე პროფესია“.

უნდა აღინიშნოს, 2014 წლის 26 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №721 დადგენილების თანახმად დამტკიცდა საქართველოში უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების კონცეფცია და მისი განხორციელების 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა განახორციელონ კონცეფციით და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები. შესაბამისად, მიმდინარე წელს ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტმა შეიმუშავა და განახორციელა ახალგაზრდობისათვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის განვითარებაზე ორიენტირებულ პროგრამა, რომელიც მიმართული იყო მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ხელმისაწვდომი პროფორიენტაციის სერვისების განვითარებაზე, საკონსულტაციო ინსტრუმენტების შექმნა/ადაპტირებაზე, საკონსულტაციო ვებგვერდის განვითარებასა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ინფორმირებულობის გაზრდაზე შექმნილი სერვისების და ზოგადად, კარიერის დაგეგმვის საჭიროებისა და მნიშვნელობის კუთხით, ასევე პროფესიული გადაწყვეტილების პროცესში მშობლების როლისა და ჩართულობის მიმართულებით.

„მოსწავლე-ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამა“ განხორციელდა „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში და მიზნად ისახავდა მოსწავლე-ახალგაზრდობის დახმარებას პროფესიის არჩევის დროს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

პროგრამის ფარგლებში შექმნილია პროფსაკონსულტაციო ვებგვერდზე www.myprofession.gov.ge, სადაც განთავსებულია პროფორიენტაციისათვის განკუთვნილი ფსიქოლოგიური ადაპტირებული ტესტები, პროფესიების შესახებ შექმნილი ვიდეორგოლები და სხვადასხვა სარეკომენდაციო და საკითხავი მასალა მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის. შექმნილია ვებგვერდის [მხარდამჭერი ფეისბუქის გვერდი „აირჩიე პროფესია“](https://www.facebook.com/MyprofessionGeorgia) (<https://www.facebook.com/MyprofessionGeorgia>), სადაც სისტემატურად ხდებოდა საიტზე განთავსებული მასალების გაზიარება, მომხარებელთა შეკითხვებზე რეაგირება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციების და რჩევების მიცემა.

აპრილის თვიდან დაიწყო შექმნილი ვებგვერდის www.myprofession.gov.ge-ს განახლება. გვერდი გახდა ინტერაქციული, განახლდა ვებგვერდის შინაარსობრივი მხარე, რაც გამოიხატება ახალი საკითხავი ლიტერატურის, ქმედითი რეკომენდაციების და სავარჯიშოების მომზადებით. მომზადდა რეკომენდაციები როგორც დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისათვის, ასევე მათი მშობლებისათვის.

დაგეგმილი მიზნების ეფექტურად მისაღწევად განხორციელდა ვებგვერდის ტექნიკური რეკონსტრუქცია. განახლდა დიზინი, ვებგვერდის გარე და შიდა გვერდები, რაც ხელს შეუწყობს მომხარებლებს უფრო ადვილად მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია.

მუდმივად მიმდინარეობდა ვებგვერდის მონიტორინგი google analytics-ის საშუალებით. ვებგვერდის მომხმარებელთა რაოდენობა იზრდებოდა სტაბილურად, მომხმარებელთა ასაკი მერყეობს 16-დან 30 წლამდე, რაც რეალურად ემთხვევა იმ ასაკობრივ სეგმენტს, ვისთვისაც შექმნილია საკონსულტაციო ვებგვერდი. 2014 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით სულ 80 000 -ზე მეტი უნიკალური ვიზიტორი ჰყავდა.

პროგრამის ფარგლებში მომზადდა ახალი პიროვნების საკვლევი, პროფორიენტაციისათვის განკუთვნილი, სანდო და ვალიდური ინსტრუმენტი, ტესტის/კითხვარი, რომელიც შეიქმნა

სამეცნიერო, მეთოდოლოგიურ პრინციპებზე დაყრდნობით. დარგის ექსპერტების მიერ ჩატარდა მთელი რიგი სამუშაოები: შემუშავდა საკვლევი ინსტრუმენტის ძირითადი პრინციპები, დამუშავდა შესაბამისი ლიტერატურა და კვლევები, ჩარჩო (framework), მომზადდა ტესტის სამუშაო ვარიანტი, შეფასდა ექსპერტების მიერ შინაარსობრივი და კონსტრუქციული ვალიდობა, მომზადდა პრეტესტი ჩატარდა საქართველოს მასტაბით ტესტის პილოტირება/გამოცდა ფსიქომეტრული მახასიათებლების შესაფასებლად მოსწავლეებთან, სტუდენტებთან (უმადლესდა პროფესულ სასწავლებლებში). ექსპერტების მიერ შექმნა ტესტის საბოლოო ვარიანტი, შესაბამისი სახელმძღვანელო, შეიქმნა კომპიუტერული ალგორითმი და განთავსდა ვებგვერდზე. შედეგად ვებგვერდს დაემატა საქართველოში შექმნილი ახალი პროფორიენტაციისათვის განკუთვნილი კვალიფიციური ინსტრუმენტი, რომელიც გაეხმარება ახალგაზრდებს შეისწავლონ საკუთარი თავი და საკუთარი პიროვნული მახასიათებლები დაუკავშირონ შესატყვის პროფესიებს.

ასევე, მომზადდა 30 სხვადასხვა პროფესიის შესახებ 4-5 წუთიანი ინტერვიუს ფორმატის ვიდეორგოლი, რომელიც განთავსდება ვებგვერდზე www.myprofession.gov.ge. ვიდეორგოლებში კონკრეტული პროფესიის წარმატებული წარმომადგენელი საუბრობს პროფესიის არჩევის, სამუშაო გარემოს, საჭირო ცოდნებისა და უნარების, პიროვნული მახასიათებლებისა და რჩევების შესახებ ახალგაზრდებისათვის, რგოლში ასახულია პროფესიონალის სამუშაო გარემო.

წლის დასაწყისიდან დაიწყო სამინისტროს მიერ შექმნილი პროფორიენტაციისათვის განკუთვნილი სერვისის პიარ-კამპანია, რომლის ფარგლებშიც საქართველოს რეგიონებში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები ვებგვერდისა და სახელმძღვანელოს „აირჩიე პროფესია“ შესახებ შიდა ქართლში, იმერეთში, კახეთში, ქვემო ქართლში, თბილისში. მოსწავლე-ახალგაზრდებს საჩქრად გადაეცათ სახელმძღვანელოები, კალმები და მაისურები პროგრამის ატრიბუტიკით. საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს და ასევე, world vision Georgia-ს ხელშეწყობით.

აღნიშნული პროექტის განხორციელებით მოზარდებს და ახალგაზრდებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ხელმისაწვდომი პროფკონსულტაციის სერვისით; ინტერაქტიულ ვებ-გვერდზე განთავსებული პროფორიენტაციის ტესტების, კითხვარების, სხვადასხვა საჭირო ინფორმაციული და სარეკომენდაციო ხასიათის მასალების, ასევე, გზამკვლევის, პროფესიებზე შექმნილი ვიდეორგოლების საშუალებით ახალგაზრდებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია თავიანთი უნარების, შესაძლებლობების, ძირითადი პიროვნული მახასიათებლების, პროფესიებთან შესატყვისი ფსიქოტიპების შესახებ, მათთვის საინტერესო პროფესიის შესახებ, პროფესიული გადაწყვეტილების მიღების ხერხების შესახებ. პროექტის განხორციელება დაეხმარება ახალგაზრდებს გააზრებული პროფესიული გადაწყვეტილების მიღებაში.

„ახალგაზრდული ჟურნალისტიკის განვითარების პროგრამა“

პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში დაიგეგმა ტრენინგ-სემინარები, რომელიც მიზნით ისახავს ჟურნალისტიკით დაინტერესებულ ახალგაზრდებს მიეცეს თეორიული და პრაქტიკული განათლება ჟურნალისტიკის პროფესიული საქმიანობის არსის და საშუალებების შესახებ.

დღეს-დღეობით - „ახალგაზრდული ჟურნალისტიკის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ტრენინგ-სემინარები:

1) ქვემო ქართლის რეგიონში ახალგაზრდა ჟურნალისტებისა და ჟურნალისტიკის დაინტერესებულ პირთათვის 3-თვიანი პროფესიული ტრენინგ-კურსი, რომლის ფარგლებშიც ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია და რუსთავის საერთაშორისო სკაუტური ცენტრმა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მხარდაჭერით განხორციელდა ახალგაზრდული ჟურნალისტიკის ხელშეწყობის პროგრამა. სამიზნე ჯგუფი ქ. რუსთავში მცხოვრები 14-21 წლამდე 15 ქართველი და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდა. ტელეკომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე გამორჩეული ახალგაზრდები დასაქმდნენ ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიაში აზერბაიჯანული საონფორმაციო გამოშვების წამყვანისა და ჟურნალისტის პოზიციაზე.

2) რადიო-ჟურნალისტიკით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის 2-თვიანი პროფესიული ტრენინგ-კურსი;

პროექტის მიზანია მზრუნველობამოკლებული და სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისთვის კვალიფიკაციის ამაღლება რადიო ეთერში მუშაობის კუთხით. 10 მზრუნველობამოკლებულ 15-18წლამდე მოზარდს ჩაუტარდათ საეთერო ტრენინგი, რომლის მეშვეობითაც სწავლობდნენ სწორად მეტყველებას და სიახლეების გაშუქებას პირდაპირ ეთერში, პროექტი ორთვიანი იყო. პროექტის ბოლოს საუკეთესო ახალგაზრდებს მიეცათ. პირდაპირ ეთერში რუბრიკის წაყვანის შესაძლებლობა.

3) სწორი ტერმინოლოგიის 2 დღიანი ტრენინგ-კურსი დამწყები ან მომავალი ჟურნალისტებისთვის;

ზემოაღნიშნული ტრენინგი განხორციელდა - აიპ „ახალგაზრდული მედია-კავშირი“-თან ერთად. ტრენინგის მიზანია - ახალგაზრდა ჟურნალისტების განვითარების ხელშეწყობა, მათი ცოდნის და სამუშაო გამოცდილების გაღრმავება, სწორი ტერმინოლოგიის შესწავლა სოციალური და ეკონომიკური კუთხით.

4) 2-თვიანი პროფესიულ ტრენინგ-კურსი. შპს „ჯგუფი-ახალი-სტილ“-თან ერთად; ტრენინგი განკუთვნილი იყო იძულებით გადაადგილებულ პირთათვის; ტრენინგის

მიზანი: ახალგაზრდა ჟურნალისტების განვითარების ხელშეწყობა, მათი ცოდნის და სამუშაო გამოცდილების გაღრმავება შემდეგი მიმართულებით: თეორიული და პრაქტიკული განათლება ჟურნალისტიკის პროფესიული საქმიანობის არსის და საშუალებების შესახებ ახალგაზრდული პოლიტიკის გაშუქების კუთხით.

5) ჟურნალისტიკისა და რეჟისურის საფუძვლების 2-თვიანი პროფესიული ტრენინგ-კურსი;

პროგრამის მიზანი: ახალგაზრდა ჟურნალისტების განვითარების ხელშეწყობა, მათი ცოდნის და სამუშაო გამოცდილების გაღრმავება შემდეგი მიმართულებით:

თეორიული და პრაქტიკული განათლება ჟურნალისტიკისა და რეჟისურის საფუძვლების პროფესიული საქმიანობის არსის და საშუალებების შესახებ ტელეპროექტების მომზადების კუთხით.

პროექტში მონაწილეობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის, იძულებით გადაადგილებული და სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები. (სულ 20 მონაწილე).

პროექტის მონაწილეებმა შეისწავლეს:

1. ჟურნალისტიკის და რეჟისურის საფუძვლები, ვიდეო გადაღება და მონტაჟი, ტელე და ვიდეო ტექნიკა, მხატვრული განათება. გადასაღებ მოედანზე დამოუკიდებლად მუშაობა, სატელევიზიო სტუდიაში ან განსხვავებული სცენების გადაღებისას ინტერიერში და ექსტერიერში.
2. სარეჟისორო სცენარის წაკითხვა და გააზრება, მიზანსცენების დამუშავება, ზეპირი დავალების გაცემა გადასაღებ მოედანზე.
3. რეპორტაჟული გადაღების საოპერატორო ხერხები.
4. ტელერეპორტაჟის წარმოების ჟურნალისტური ხერხები. ხმის და ვიდეო მონტაჟის პრინციპები, ვიდეო კამერა, მისი ძირითადი ფუნქციონალური ბლოკები და მართვის ღილაკები.
5. კომპიუტერი, როგორც ვიდეო სამონტაჟო ინსტრუმენტი. ტელეწარმოებაში სამონტაჟო პროგრამის (მაგ. Adobe Premiere) თანამედროვე ვერსიის გამოყენება.
6. აუდიო - ვიდეო მონტაჟი;
7. სხვადასხვა ფორმატში გადაღებული ვიდეო მასალის კომპიუტერში შეყვანა, ამოცანის შესაბამისი პროექტის შექმნა და ტექნიკურად სრულფასოვანი (Audio-Video) მონტაჟი.

პროექტის ბოლო ეტაპზე მონაწილეები გაიყვნენ ხუთ ჯგუფად და გადაინაწილეს ოპერატორის, რეჟისურის, კორესპოდენტის და მემონტაჟის როლები, შეარჩიეს სხვადასხვა აქტუალური თემები, გადაიღეს და დაამონტაჟეს 5 ტელე - პროექტი.

ტრენინგის შედეგი: ახალგაზრდული ჟურნალისტიკის პოპულარიზაცია, პროექტის მონაწილეები დაეუფლებიან ოპერატორის, წამყვანის, კორესპოდენტის რეჟისორისა და მემონტაჟის პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას და უნარებს. მოამზადებენ ტელე-პროექტს სხვადასხვა აქტუალურ თემაზე.

6) ჟურნალისტიკის, რეჟისურის საფუძვლებისა და მეტყველების 2-თვიანი ტრენინგ-კურსი;

ტრენინგის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო 15 ახალგაზრდამ . ასაკობრივი ჯგუფი 15 – 26 წელი. ტრენინგი ჩატარდა 2 თვის განმავლობაში, კვირაში 4-ჯერ. პროექტის მონაწილეები დაეუფლნენ სარეჟისორო და ჟურნალისტური საფუძვლების საწყისებს, სიუჟეტის მომზადების, რესპოდენტთან ურთიერთობის ხელოვნებას, აზრის გამოხატვის სამეტყველო საშუალებებს;

„საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამა“

1. საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ახორციელებს პროგრამას „საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში“.

- პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა კონკურსი „ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლის პოზიციაზე“ .

კონკურსი ჩატარდა სპეციალური კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები, ისევე როგორც მოქმედი საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაერო-ში. კონკურსი ჩატარდა სამ ეტაპად:

1. პირველ ეტაპზე კანდიდატები შეფასდებიან წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე. კონკურსის თემად გამოცხადდა: **UN is motivated to maximize the engagement of young people in the transition from Millennium Development Goals (MDGs) to Sustainable Development Goals (SDGs). How do you think the youth of Georgia can participate in these processes and which SDG matters to them the most.** კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება მეორე ეტაპზე გადასულიყო 25-ვე კონკურსანტი;
2. მეორე ეტაპზე ჩატარდა გასაუბრება ინგლისურ ენაზე. მესამე დასკვნით ეტაპზე გადავიდა 11 კონკურსანტი;
3. 11 საუკეთესო კონკურსანტი სიტყვით გამოვიდა (ინგლისურ ენაზე) სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ გამართულ საჯარო ღონისძიებაზე. სიტყვით საჯარო გამოსვლა თემაზე „ **How can young people become leaders of today?** “ შეაფასა კომისიამ.

გამარჯვებული კანდიდატი გამოცხადდა 2015 წლის 26 ივნისს კანდიდატების მიერ დაგროვებული ქულების დაჯამების შედეგად.

კონკურსის გამარჯვებული გახდა მარიამ სიხარულიძე.

2.საქართველოს ახალგაზრდული ჯგუფის (18 ადამიანი) და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2 თანმხლები თანამდებობის პირის ვიზიტი აზერბაიჯანში, (2015 წლის შემოდგომა)

3. ჩატარდა კონფერენცია “როგორ უწყობს ხელს ინსორსინგი და/ან აუთსორსინგი საჯარო ადმინისტრირების რეფორმას ხელს? -ს , რომელიც განხორციელდა მაისის ბოლოს.

აღნიშნულ კონფერენციაში ჩართული იყვნენ როგორც ახალგაზრდა მკვლევარები ასევე მეცნიერები. კონფერენციას ესტუმრნენ საჯარო სამსახურის ბიუროების და სააგენტოების წარმომადგენლები მსოფლიოს 10-ზე მეტი ქვეყნიდან (აღმოსავლეთ ევროპა, ავღანეთი). კონფერენცია განხორციელდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მხარდაჭერითა და კავკასიის უნივერსიტეტისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფო ადმინისტრირების დაწესებულებათა საერთაშორისო ქსელის (NISPAcee) ორგანიზებით.

4. ახალგაზრდული საინფორმაციო/საკონსულტაციო რეგიონალური სემინარი: საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ევროპის საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრთან და ევროსაბჭოსთან ერთად ჩატარა ახალგაზრდული საინფორმაციო/საკონსულტაციო რეგიონალური სემინარი. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა მუშაკებმა, სახელმწიფო მოხელეებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყებიდან. შერჩეული მონაწილეებმა განიხილეს სხვადასხვა საკითხები და იმსჯელეს პრობლემების გადაჭრის გზებზე, რომლის მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო საუკეთესო გამოცდილების გაზიარება მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებს შორის.

სემინარი აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიის რეგიონში ახალგაზრდული პოლიტიკის გატარების გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა.

მონაწილე ქვეყნები: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, მოლდოვა, უკრაინა, ალბანეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, მაკედონია და ბულგარეთი.

სემინარის მიზანი: ახალგაზრდებისათვის ინფორმაციის მიწოდებასა და მათთან კონსულტაციის საკითხებზე საუკეთესო გამოცდილებების იდენტიფიცირება, მიმდინარე აქტივობებსა და სერვისებზე ინფორმაციის მიწოდება/მოპოვება, ახალგაზრდული პოლიტიკის სხვადასხვა მიდგომების გაცნობა, მონაწილეებს შორის კონტაქტების გადრეკვა, რეგიონალური თანამშრომლობის ხელშეწყობა.

კონკრეტულ მიზნებს შეადგენს ევროპული პრიორიტეტების და ევროკავშირისა და ევროსაბჭოს სამართლებრივი ბაზის გაცნობა ახალგაზრდობის სფეროში.

სემინარზე განხილული იქნება შემდეგი თემები:

- ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და მათთან კონსულტაციის კონცეფციისა და გავლენის განხილვა;
- ახალგაზრდების ჩართულობა მათთვის ინფორმაციის მიწოდების გზით, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში;
- ევროპული ინსტიტუტები და კონტაქტების დამყარება;

- ახალგაზრდული პოლიტიკა ევროკავშირისა და ევროსაბჭოში;
- კულტურათაშორისი დიალოგი;
- ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიწოდების და მათთან კონსულტაციის საუკეთესო მაგალითები სახელმწიფო დონეზე.

„მზრუნველობამოკლებული და სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტი მეორე წელია წარმატებით ახორციელებს - „**მზრუნველობამოკლებული და სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის**“ პროგრამას, რომლის ფარგლებშიც, სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს აღნიშნულ სფეროში მოღვაწე სხვადასხვა ორგანიზაციასთან (გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები). აპრილის თვიდან მიმდინარეობს „SOS ბავშვთა სოფლის“, „საქართველოს კარიტასისა“ და „ჩემი სახლის“ მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში მცხოვრები და დღის ცენტრების სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის ფეხბურთის, თანამედროვე ცეკვების სწავლების განხორციელება, სწავლების კომპლექსური მეთოდით ერუდიციის (ზოდაგი განათლების) ამაღლების კურსები. დასრულდა სამსახიობო ხელოვნების (თეატრალური დადგმის უზრუნველყოფით) შემსწავლელი კურსები, რომლის გამოსაშვები დადგმის ჩვენება დაიმართება ოქტომბრის თვეში შ. რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტალურ სცენაზე. ბავშვებისთვის ზაფხულის პერიოდში მოეწყო ექსკურსიები სხვადასხვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოსანახულებლად. ასევე, თებერვლის თვეში ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტისა და ახალგაზრდული ორგანიზაცია - ააიპ „სტუდენტური ერთიანობა“-ს ინიციატივით, „საქართველოს კარიტასისა“ და „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის“ ორგანიზაციებს საჩუქრად გადაეცა 500-მდე წიგნი, რომელიც მოხმარდება საბავშვო ბიბლიოთეკების შევსებას და ზაფხულის პერიოდში ბავშვებსა და ახალგაზრდებს საშუალება მიეცემათ წაიკითხონ მათთვის საინტერესო მხატვრული ლიტერატურა.

2015 წლის აპრილის თვიდან, სამინისტროს - სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“ - ს ბაზაზე, მიმდინარეობდა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე 15 ახალგაზრდისათვის 4 თვის განმავლობაში ტიხრული მინანქრის დამუშავების სახელობო სწავლება, რომლის დასრულების შემდეგაც ახალგაზრდებს გადაეცათ შესაბამისი დიპლომები, რაც ხელს შეუწყობს მათ სამომავლო დასაქმებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიმდინარე წლის აპრილის თვეში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ორგანიზაცია „World Vision-ს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ერთ-ერთ პუნქტსაც წარმოადგენს თანამშრომლობა „მზრუნველობამოკლებული ბავშვების“ მხარდაჭერის მიმართულებით. სწორედ „World Vision-თან ერთობლივი მუშაობით, 20 სექტემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით თელავსა და ქუთაისში მდებარე „ბრესის“, „აფხაზეთისა“ და „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის“ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები აღსაზრდელებისათვის მიმდინარეობს 3 თვიანი ინტენსიური ტრენინგ კურსი

„სასიცოცხლო უნარების“ კურიკულუმის საფუძველზე შემდეგ თემებზე: თვითცნობიერება, კომუნიკაცია, ემოციების მართვა, ინტერპერსონალური ურთიერთობები, კრიტიკული აზროვნება, სოციალური პასუხისმგებლობა.

“რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამა“

სახელობო სწავლება

აპრილის თვიდან ტყიბულის რაიონის სოფელ საწირეში მიმდინარეობს საიუვეიერო საქმიანობის (გიშრის, ოქროს, ვერცხლის, ხის მხატვრული დამუშავება) შემსწავლელი ხუთთვიანი კურსები. მასში ჩართულია 15 ახალგაზრდა, რომელთაგან 7 მონაწილე დასაქმდა სახელოსნოში. სწავლების დასრულების შემდეგ სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში დაიმართება ახალგაზრდების მიერ დამზადებული ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა.

სამდლიანი ლაშქრობები

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საინისტრო - „რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე წელს ახორციელებს პროექტს - „უცნობი საქართველო“, რომლის ძირითადი მიზანია „ახალგაზრდული ტურიზმის“ განვითარება და პოპულარიზაცია რეგიონებში. პროგრამის ფარგლებში, ეროვნული ბილიკის პირველ მონაკვეთზე (თრიალეთის ქედი/კლდეკარი-საბოლიას ხეობა-რკონი) ივნისი-აგვისტოს თვეებში საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების მონაწილეობით, ჩატარდა 3 დღიანი შემეცნებითი ლაშქრობები სხვადასხვა სახის აქტივობებით: ჰაიკინგი, ტრენინგ-კურსი გარემოს დაცვით თემატიკაზე, ბილიკის მარკირება-მოწესრიგება და სხვა.

ლაშქრობების მოწყობის ძირითადი მიზანი იყო, რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების დაინტერესება ახალგაზრდული ტურიზმის სფეროთი, ინფორმაციის მიწოდება და ცნობიერების ამაღლება ტურიზმის პოტენციალისა და შესაძლებლობების შესახებ, საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, მათი და მათი თანამოაზრეების ჩართვა აღნიშნულ სფეროში, რათა ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ, ახალგაზრდებმა დამოუკიდებლად შეძლონ მსგავსი ტურების დაგეგმვა/განხორციელება საკუთარ რეგიონებში, რაც თავისთავად გულისხმობს მათი დასაქმების ხელშეწყობასაც.

სამინისტრომ უზრუნველყო მონაწილეები კვებით, კარვებით, საძილე ტომრებით და ყველა სხვა საჭირო ინვენტარით.

მონაწილეთა შერჩევასა და დანიშნულების ადგილამდე და უკან ტრანსპორტირებას უზრუნველყოფდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

ლაშქრობების მოწყობას და ინსტუქტაჟს ახორციელებდა „საქართველოს მოლაქრეთა ეროვნული ფედერაცია“.

გასვლის თარიღები

22-24 ივნისი - კახეთი/გურია (39 ბავშვი)
4-6 ივლისი - სამეგრელო (30 ბავშვი)
16-18 ივლისი - შიდა ქართლი/სამცხე (42 ბავშვი)
28-30 ივლისი - იმერეთი (36 ბავშვი)
9-11 აგვისტო - მცხეთა/ქვ.ქართლი (39 ბავშვი)
21-23 აგვისტო - რაჭა/აჭარა (33 ბავშვი)

სულ 219 მონაწილე.

სკაუტური ბანაკი ატენის ხეობაში

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამით“ გათვალისწინებული „რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ (მუხლი 10) ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდების განვითარებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობას, „საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციასთან“ ერთად, მიმდინარე წლის 11-დან 17 აგვისტოს ჩათვლით, გორის მუნიციპალიტეტში, ატენის ხეობაში (სოფ. ზემო ბოშურა) მოეწყო 400 კაციანი ერთობლივი საერთაშორისო საზაფხულო სკაუტური ბანაკი, რომელშიც, სამინისტროს დაფინანსებით მონაწილეობა მიიღო 18-დან 26 წლამდე ასაკის 7 რეგიონის: კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი - 57 მუნიციპალიტეტის - 112 მონაწილემ (თითო მუნიციპალიტეტიდან ორი ახალგაზრდა). ზემოაღნიშნული ბანაკი მოწყობის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების დაინტერესება სკაუტური მოძრაობით და იდეოლოგიით, მათი თავისუფალი დროის რაციონალური და სწორი ორგანიზება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და პოპულარიზაცია, ახალგაზრდების დასვენება.

ბანაკის განმავლობაში მონაწილეები გადიოდნენ შემდეგ სწავლებებს:

1. ლიდერობისა და პიროვნული განვითარების ტრენინგი;
2. სამოქალაქო განათლების ვორკშოპი;
3. გარემოს დაცვის ვორკშოპი;
4. ბუნებაში ორიენტირებისა და თვით-გადარჩენის კურსები;
5. პიონერინგის კურსები;
6. სპორტული აქტივობები;
7. სკაუტური თამაშები;
8. ლაშქრობები.

მონაწილეთა კვების, ცხოვრებისა და ტრანსპორტირების ხარჯებს უზრუნველყო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, ხოლო მონაწილეთა შერჩევა განახორციელა ადგილობრივი ვითმმართველობის ორგანოებმა შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- 18-დან 26 წლამდე ასაკის მოტივირებული და აქტიური (სკაუტური მოძრაობით დაინტერესებული) ახალგაზრდა;
- სხვადასხვა ახალგაზრდულ (მოხალისეობრივ) აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება;
- ბანაკში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების თანატოლებისათვის გაზიარების სურვილი.

ტრენინგი ბაკურიანში - „პოლიტიკური იდეოლოგიები“

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამით“ გათვალისწინებული „რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ (მუხლი 10) ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდების განვითარებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობას, მიმდინარე წლის 7-9 სექტემბერს დაბა ბაკურიანში სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების რეგიონებში მცხოვრები 70 სტუდენტის მონაწილეობით ჩატარდა სამ დღიანი ტრენინგ-კურსი თემაზე „პოლიტიკური იდეოლოგიები“, ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდების პოლიტიკური თვითშეგნებისა და ცნობიერების ამაღლება. პოლიტიკური იდეოლოგიების ისტორიისა და მათი განვითარების ეტაპების გაცნობა, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების იდეოლოგიური მხარის ანალიზი.

ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელი პირების გასვლითი ღონისძიება.

მიმდინარე წლის 20-21 დეკემბერს ქ. თბილისში გაიმართება საქართველოს ყველა რეგიონისა და რაიონის თვითმმართველ ორგანოში მომუშავე ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელი პირების სამუშაო შეხვედრა, რომელზეც შეჯამდება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2015 წლის საქმიანობა ახალგაზრდული კუთხით და განისაზღვრება 2016 წლის პრიორიტეტული მიმართულებები. ასევე, რეგიონების მიხედვით, შემუშავდება მომდევნო 1 წლის განმავლობაში ერთობლივად განსახორციელებელი პროგრამებისა და ღონისძიებების ნუსხა.

„საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარებისა და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამა“

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში ხორცილდება „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარებისა და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამა“, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების დაინტერესებას არსებული კონფლიქტებით და მათი ინიციატივებისა და ჩართულობის მხარდაჭერას კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში, რაც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარების უპირობო საშუალებაა. ასევე, პროგრამის მიზანია იძულებით გადაადგილებულ ახალგაზრდებს შეექმნათ პირობები სპორტულ და სოციალურ აქტივობებში ჩართულობის, მათთვის არაფორმალური განათლების მისაწვდომობა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა.

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სხვადასხვა ტრენინგებისა და სწავლების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი პირების შერჩევის მიზნით „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ 2015 წლის 5 მარტის საქართველოს მთავრობის განკარგულება N363-ის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შეიქმნა შესაბამისი კომისია. კომისიის მიერ შემუშავდა საკონკურსო განაცხადების ფორმები. საწვრთნელ-სატრენინგო მომსახურებების უზრუნველსაყოფად, კონკურსის საფუძველზე შეირჩნენ შესაბამისი პირები.

ამ ეტაპისათვის: 1.

1. რაგბის გაკვეთილები სოფელ წეროვანში მდებარე დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის (გაგრძელება წლის ბოლომდე);
2. ფეხბურთის სწავლება (გაგრძელება წლის ბოლომდე) და სპორტული ინვენტარით და ბიბლიოთეკით უზრუნველყოფა სოფელ ფრეზეთში მდებარე დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის;
3. ერედვის მუნიციპალიტეტის დევნილი ახალგაზრდების სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა;
4. კლდეზე ცოცვის სწავლება ოკუპაციის შედეგად არსებული გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში (ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, ზემო ხვითი) მცხოვრები ახალგაზრდებისთვის (გაგრძელება წლის ბოლომდე);
5. ფეხბურთის სწავლება ქალაქ ფოთში მდებარე იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის (გაგრძელება წლის ბოლომდე);
6. აფროსნობის სწავლება იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდებისთვის
7. რაგბის გაკვეთილები ოკუპაციის შედეგად არსებული გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. ვარჯიშები ტარდება სოფელ დიცში (გაგრძელება წლის ბოლომდე);
8. ძიუდოს გაკვეთილები სოფელ ფრეზეთში არსებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის (გაგრძელება წლის ბოლომდე);

სტუდენტური დღეები 2015

22 აპრილიდან 3 ივნისის ჩათვლით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა სტუდენტური დღეები 2015. „სტუდენტური დღეები“ არის სტუდენტური პროექტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 52 უმაღლესი სასწავლებლის 5000-მდე სტუდენტმა.

სტუდენტური დღეები 2015-ის ფარგლებში ჩატარდა სპორტული, კულტურულ-შემოქმედებითი და ინტელექტუალური შეჯიბრებები. პროექტის გამარჯვებულები გამოავლინა კომპეტენტურმა ჟიურიმ და მსაჯებმა სხვადასხვა მიმართულებებისა და სახეობების მიხედვით.

დასკვნით კონცერტზე დაჯილდოვდნენ როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური ნომინაციები.

გამარჯვებული უნივერსიტეტის რექტორსა და სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარეს ჯილდო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა გადასცა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის პროგრამა

პროგრამა მოიცავს საქართველოს ისტორიულ კულტურულ ძეგლებზე სტუდენტური ჯგუფების გამზავრებას ამ ძეგლების აღდგენებისა და რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამის განხორციელება დაიწყო 2015 წლის 14 ივლისს და გაგრძელდება 14 აგვისტომდე. პროექტი ხორციელდება

საქართველოს საპატრიარქოსა და სტუდენტურ თვითმმართველობებთან კოორდინაციით. პროგრამაში მონაწილეობას ღებულობს 250 მდე სტუდენტი.

პროგრამის ფარგლებში ათობით სტუდენტს საშუალება ექნება მოინახულოს ისტორიულ კულტურული ძეგლები და თავის წვლილი შეიტანოს კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-შენარჩუნებაში. აღნიშნული სახის პროგრამა მრავალი წლის განმავლობაში სხვადასხვა უნივერსიტეტებში წარმატებით ხორციელდებოდა. აღნიშნული ტრადიცია სამინისტროს ინიციატივით კვლავ აღდგება და განხორციელდება.

სტუდენტი ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა

1. **ლიდერთა სკოლა** - 2015 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში ჩატარდა ლიდერთა უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების კურსები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო კონკურსის წესით შერჩეულმა 100-მა ახალგაზრდამ.

შემდგომში კურსდამთავრებული „ლიდერები“ თავიანთი ინტერესის სფეროდან გამომდინარე ინდივიდუალურად შექმნიან ჯგუფებს, რომლებიც დამოუკიდებლად იმუშავენ მასზე, რომ გააერთიანონ ერთ სფეროთი დაინტერესებული ახალგაზრდები, რაც უზრუნველყოფს მათ ჩართულობას ახალგაზრდულ საქმიანობაში.

2. **სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამა** - პროგრამის მიზანია სტუდენტისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა, რათა სწავლის პროცესის პარალელურად იმოქმედოს თავისი ინტერესის სფეროში, გამოავლინოს ნიჭი, უნარ-ჩვევები, ადვილად ხელმისაწვდომი იყოს მისი ინტერესის სფეროში მყოფი ამა თუ იმ აქტივობის განხორციელება.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტური ინიციატივების საფუძველზე დაიგეგმა მრავალი ახალგაზრდული პროექტი რომელშიც სრულად გამოხატული იქნა ახალგაზრდების ინტერესი. მოეწყო როგორც კულტურულ შემოქმედებითი, ასევე სამეცნიერო შემეცნებითი ღონისძიებები. ჩატარებული იქნა სოციალური პროექტები, რამაც საბოლოო ჯამში სასურველი დადებითი შედეგი გამოიღო.

3. **სტუდენტური თვითმმართველობის განვითარების კომისია** - კომისია მიზნად ისახავს სტუდენტური თვითმმართველობების საერთო სისტემის შექმნას, შეამციროს სტრუქტურაში ბიუროკრატიულ პროცედურას და ამ ფორმით საქმის სწრაფად წარმოებას, ერთიანი სისტემა მაქსიმალურად ხელმისაწვდომს ხდის ყველა სტუდენტისთვის მიმდინარე საქმიანობაში ჩართვას და სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო პროცესებში მონაწილეობას.

კომისია სტუდენტურ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით გამართა სხდომები (ბაზალეთი 14.04.2015 და წყალტუბო 04.11.2015), კომისიამ შეიმუშავა სამომავლო გეგმა, განხილვის და შეთანხმების შედეგად დაამტკიცდა ახალი ინიციატივები. დამტკიცების შემდეგ აღნიშნული გადაწყვეტილება, შემდგომი ამოქმედების მიზნით სარეკომენდაციო სახით წარედგინა სტუდენტურ თვითმმართველობებს.

კანონმდებლობის განვითარება

პროგრამის ფარგლებში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ არასამთავრობო სექტორის, ექსპერტებისა და მკვლევარების მონაწილეობით, შეიმუშავა „ახალგაზრდობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“ კანონის პროექტი. ზაფხულის პერიოდში მიმდინარეობს კანონის პროექტის საჯარო განხილვები ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ პირებთან. განხილვების შემდეგ კანონის პროექტი წარედგინება საქართველოს მთავრობას განხილვისა და საქართველოს პარლამენტში წარდგენის მიზნით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია

პროგრამის მიზანი:

- შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია;
- სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;
- კულტურულ-შემოქმედებით სფეროში მოღვაწეობის მოტივაცია;
- ნიჭიერი ახალგაზრდების მოტივირება;
- საქართველოს მოსახლეობის ცოდნის დონის ამაღლება შშმ პირთა თემაზე;
- შშმ პირთა დასაქმება.

განხორციელების გზები: შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში და ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის ინიციატივით 2015 წლის განმავლობაში დაგეგმილი და განხორციელებულია შემდეგი ქვეპროგრამები:

1. სპორტული და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის აქტივობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის:

- შექმნილია და მომზადდება გადის პარაკალათურთის გუნდი, რომელიც ატარებს საჩვენებელ თამაშებს პერმანენტულად.
- ჩატარდა სპორტული აქტივობები: ჯომარდობა, პარაკლანით ფრენა, აფროსნობა, სპორტული ცეკვები, დარტსი, ნარდი, ჭადრაკი, შაში, სირბილი 30 მეტრზე.

2. ხელოვნება და კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობები შშმ პირთათვის:

- 1 ივნისს გაიმართა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძრნილი „მზის ფესტივალი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შშმ და არა შშმ ბავშვებმა.
 - შექმნილია 3 ინკლუზიური დასი, რომლებიც ახორციელებენ თეატრალურ დადგმებს მთელი წლის განმავლობაში.
- ჩატარდა კონცერტები სხვადასხვა რეგიონებში ინკლუზიური პროგრამებით.

3. არაფორმალური განათლება, სპეციალური გადაზრდა და შემეცნებითი აქტივობები:

მატერიალურ ტექნიკური ბაზის აღჭურვა, აპარატურის, განათების, სცენის, შეზღუდვის ტიპის მიხედვით ადაპტირება, ტრანსპორტირება, ბეჭდვა და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა

დღეისათვის გადამზადდა 70-მდე შშმ პირი სხვადასხვა პროფესიული კუთხით ასევე ხელსაქმეში.

დასაქმდა 30-მდე შშმ პირი დისტანციურად, სახლიდან გაუსვლელად საინფორმაციო საიტებსა და ქართულ ვიკიპედიაში.

შშმ პირებს ჩაუტარდათ შემსწავლელი კურსები კომპიუტერულ პროგრამებში, დებატების ხელოვნებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებში.

ყოველი თვის განმავლობაში სამინისტროს საგამოფენო სივრცე ეთობა სხვადასხვა დღის ცენტრის ბენეფიციარებს გამოფენისთვის ტარდება თემატური გამოფენები და გამოფენა-გაყიდვები.

განხორციელდა ბანაკი ასპინძაში სპორტული და შემეცნებითი პროგრამით.

მომზადდა ტიფლოკომენტატორები სპორტული მატჩების უსინათლოთათვის კომენტარებისთვის.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სპორტული კონსულტანტების მომსახურება სხვადასხვა დღის ცენტრის ბაზაზე მათ შორის, თბილისსა და საჩხერეში

აღინიშნა 3 დეკემბერი სპორტული და კულტურულ-შემოქმედებით პროგრამით ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონებში.

3. „ეტალონის დღეები თბილისში - ინტელექტუალური თამაშები“ - პროგრამის მიზანს წარმოადგენდა მოსწავლე-ახალგაზრდების არაფორმალური განათლების, თავისუფალი დროის სწორად ორგანიზების, წიგნიერების ხელშეწყობა ინტელექტუალურ კონკურსში მონაწილეობის საშუალებით.

პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ინტელექტუალური კონკურსი „ეტალონის“ შემეცნებით-გასართობი თამაშების ციკლის არასატელევიზიო ვერსიის მიხედვით თბილისში მცხოვრებ მოსწავლე-ახალგაზრდებთან.

პროექტი განხორციელდა 2015 წლის ოქტომბერში.

კონკურსში მონაწილეობა მიიღეს თბილისში მცხოვრებმა მოსწავლე-ახალგაზრდებმა (მე-8 – მე-12 კლასი), 4 რაიონიდან: გლდანის, დიდუბის, ჩუღურეთის, მთაწმინდას. მოსწავლეებს პროექტში ჩართვა შეეძლოთ შემდეგნაირად:

1) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარებით, საგანმანათლებლო რაიონულ რესურსცენტრებს გადაეგზავნა ინფორმაცია პროექტის შესახებ, საგანმანათლებლო რესურსცენტრების და თბილისის რაიონული გამგეობების დახმარებით, სკოლებში გავრცელდა ინფორმაცია "ეტალონი-თბილისის" შესახებ (მათ შორის კერძო სკოლებშიც) და თითოეულ სკოლას მიეცა საშუალება პროექტში მონაწილეობისთვის წარმოედგინა საკუთარი მოსწავლეების კანდიდატურები (მე-8 _ მე-12 კლასები). მოსწავლეთა შესარჩევად სკოლას მიეწოდა შერჩევის კრიტერიუმები, როგორცაა ა) საშუალოზე მაღალი აკადემიური მოსწრება (საშუალო შეფასება 8 ქულა ან უფრო მაღალი); ბ) კომუნიკაბელურობა; გ) გუნდურად მუშაობის უნარი; დ) მოტივირებული და წარმატებაზე ორიენტირებული; ე) შემოქმედებითი უნარი; ვ) ლიდერის უნარ-ჩვევები.

თითოეულ სკოლას, რომელმაც გამოთქვა "ეტალონი-თბილისში" ჩართვის სურვილი, მიეწოდა სპეციალურად შედგენილი ანკეტები.

"ეტალონი-თბილისში" მონაწილეობის მსურველ მოსწავლეებს [ანკეტების შევსება](#) ასევე შეეძლოთ "ეტალონის" ვებ-გვერდზე და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროების ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის დახმარებით, სადაც მითითებული იყო ანკეტის ონლაი-ვერსიის ინტერნეტ-ბმული, <http://goo.gl/forms/CnSt1A6iWZ>. ასევე, ანკეტების შევსება შესაძლებელი იყო მობილური ტელეფონების ან პლანშეტების მეშვეობით სპეციალური QR კოდის მეშვეობით.

პირველ ეტაპზე (ანკეტირების სისტემით შერჩევა) პროექტში ჩაერთნენ თბილისის 4 რაიონის შემდეგი სკოლები: გლდანის რაიონი: 175 სკოლა, კერძო სკოლა "კანდიდი", 115 სკოლა, 118 სკოლა, სკოლა-ლიცეუმი "ცოდნა", 177 სკოლა, 173 სკოლა, 79 სკოლა, 69 სკოლა, 119 სკოლა, 120 სკოლა, 39 სკოლა, 16 სკოლა, "ახალი ქართული გიმნაზია", 181 სკოლა, 174 სკოლა, 160 სკოლა, 136 სკოლა, 132 სკოლა, 45 სკოლა, 167 სკოლა, "აია-ჯესს სერვანტესის სახ. სკოლა-ლიცეუმი", 209 სკოლა. მთაწმინდის რაიონი: I კლასიკური გიმნაზია, 42 სკოლა, 183 სკოლა, 20 სკოლა, 211 სკოლა, 212 სკოლა, 213 სკოლა, 214 სკოლა, 28 სკოლა. დიდუბის რაიონი: 147 სკოლა, 140 სკოლა, 100 სკოლა, სკოლა "სადუნი", 169 სკოლა, 166 სკოლა, 155 სკოლა, 18 სკოლა, 130 სკოლა, 22 სკოლა. ჩუღურეთის რაიონი: 2 სკოლა, 5 სკოლა, 22 სკოლა, 24 სკოლა, 36 სკოლა, 30 სკოლა, 150 სკოლა, 37 სკოლა, 29 სკოლა, 23 სკოლა, 46 სკოლა, 31 სკოლა, 63 სკოლა, 26 სკოლა. სულ თბილისის ოთხივე რაიონში პროექტის პირველ ეტაპზე – ანკეტირების სისტემით შერჩეულ მოსწავლეთა რაოდენობამ შეადგინა 2100 მოსწავლე.

პროექტის მეორე ეტაპისთვის შეირჩა თითოეული სკოლის 10-12 მოსწავლისგან შემდგარი გუნდი, გამოცხადდა გუნდების შემადგენლობა და დაინიშნა ინტელექტუალური კონკურსის მეორე ეტაპის ჩატარების დღე და საათი.

"ეტალონი თბილისის" რაიონული ტურები გაიმართა: გლდანის რაიონი – 20 ოქტომბერი 175 სკოლის დარბაზი, მთაწმინდის რაიონი – 22 ოქტომბერი, I კლასიკური გიმნაზიის დარბაზი, ჩუღურეთი – 21 ოქტომბერი – 24 სკოლის დარბაზი, დიდუბე – 23 ოქტომბერი, 166 სკოლის დარბაზი. **პროექტის მეორე ეტაპის მონაწილეთა რაიოდენობა 500-ზე მეტი იყო.**

თითოეულ რაიონში ინტელექტუალური შეჯიბრის წამყვანი იყო "ეტალონის" ავტორი გოჩა ტყემელაშვილი. თითოეული სკოლის გუნდს გამოეყო მაგიდა, დარბაზი აღჭურვილი იყო პროექტორით, ეკრანით, ხმის გამამძლიებლებით და "ეტალონის" სპეციალური აპარატურით, რომელიც საშუალებას აძლევდა პროექტის მონაწილეებს დასმულ კითხვებზე პასუხები დაეფიქსირებინათ პლანშეტებზე, რასაც "ეტალონის" სპეციალური პროგრამა აღრიცხავდა წამის მეთაღების სიზუსტით. რაიონულ ტურებში დასმული იყო 20-30 შეკითხვა, რომლებიც ამონათღებოდა ეკრანზე თავისი 4 სავარაუდო

პასუხით, წამყვანი კითხულობდა კითხვას, 4 სავარაუდო პასუხს და რთავდა წამზომს, "ეტალონის" სატელევიზიო ფორმატისგან განსხვავებით, სადაც მოსაფიქრებელი დრო 15 წამია, ამჯერად მოსაფიქრებელი დრო გაიზარდა 30 წამამდე. "ეტალონი- თბილისის" ფარგლებში ჩატარებული ყველა კონკურსის ყოველი მეთე კითხვა შეეხებოდა ქართული სპორტის ისტორიას – წარმატებებს და ლეგენდარულ სპორტსმენებს.

კითხვების ამოწურვის შემდეგ ჯამდებოდა საბოლოო რეიტინგი, რომელშიც დაფიქსირებული იყო თითოეული გუნდის მიერ მოპოვებული ქულები და დახარჯული დრო. თანაბარი ქულების მოპოვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებოდა იმ გუნდს, რომელმაც პასუხების გაცემაზე ნაკლები დრო დახარჯა.

"ეტალონი თბილისის" რაიონულ ტურებს სტუმრების სტატუსით ესწრებოდნენ სამინისტროს წარმომადგენლები, რაიონის გამგებლები, გულშემმატკივრები, მშობლები, მეგობრები, სკოლის დირექტორი და პედაგოგები.

რაიონული ტურის ფარგლებში გამოვლინდა თითოეული რაიონის ყველაზე წარმატებული სკოლა და გუნდი, რაიონის "ეტალონი სკოლის" ტიტული მიენიჭა ყველაზე მაღალი შედეგის მქონე გუნდის სკოლას და საზეიმო ვითარებაში გადაეცა სპეციალური დიპლომი. თუმცა, პროექტის მიმდინარეობიდან ცხადი გახდა, რომ საჭირო იყო კიდევ ერთი, ფინალური ტურის ჩატარება, სადაც მონაწილეობის საშუალება მიეცა თითოეული რაიონის 4 წარმატებულ – ყველაზე მაღალი შედეგების მქონე სკოლას, ანუ სულ 16 გუნდს. ეს სკოლებია: გლდანის რაიონი: 175 სკოლა, 174 სკოლა, 79 სკოლა და 115 სკოლა. ჩუღურეთის რაიონი: 63 სკოლა, 29 სკოლა, 24 სკოლა, 2 სკოლა. დიდუბის რაიონი: 155 სკოლა, 166 სკოლა, სკოლა "სადუნი", 140 სკოლა. მთაწმინდის რაიონი: 20 სკოლა, 47 სკოლა, 42 სკოლა და 51 სკოლა.

"ეტალონი თბილისის" ფინალური ტური გაიმართა 30 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. სპეციალურად "ეტალონი-თბილისის" ფინალისთვის გამოყოფილი იყო საექსპოზიციო დარბაზი, მოხდა მისი ტექნიკურად მოწყობა და ადაპტირება "ეტალონის" თამაშის ჩასატარებლად.

20 კითხვის დასმის შემდეგ წამყვანმა გამოაცხადა 3 ყველაზე მაღალქულიანი შედეგების მქონე სკოლების გუნდი, რომელთაც საპატიო სტუმრებმა გადასცეს დიპლომები. პროექტის ყველა მონაწილეს გადაეცა "ეტალონი-თბილისში" მონაწილეობის დამადასტურებელი სიგელი. პროექტის პირველი, მეორე და მესამე ეტაპის ყველა მონაწილეს გადაეცა სპეციალურად ამ პროექტისთვის დამზადებული ბრენდირებული ბლოკნოტები და კალმები, მეორე და მესამე ეტაპის მონაწილეებს გადაეცათ სპეციალურად ამ პროექტისთვის დამზადებული ბრენდირებული მაისურები.